წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ ივლისი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821207106; 26/07/2021) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 23 ერთეულს (მერის მრჩეველი –1, მერის თანაშემწე –2, მერის მძღოლი–1, მძღოლი–1, ფსიქოლოგი-1, დამლაგებელი–5, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი – 1, კონსულტანტი –3, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი – 1, მდივანი–1, ევროკავშირის 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB 1138) ფარგლებში კოორდინატორის-1, კოორდინატორის ასისტენტის-1, ტექნიკური მენეჯერის-1, PR მენეჯერის-1, საფინანსო მენეჯერის-1 და ოფისის მენეჯერის-1). ამასთან, როგორც მერი აღნიშნავს, ევროკავშირის 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტი „თანამშრომლობა მწვანე გარემოსათვის“ ითვალისწინებს სხვადასხვა სახის აქტივობებს, როგორიცაა წყალტუბოს ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის მომზადება, რეციკლირების საკითხებზე მუშაობა, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების კუთხით ღონისძიებების ჩატარება და ა.შ. შესაბამისად, პროექტში მერს ესაჭიროება შესაბამისი გამოცდილებისა და განათლების მქონე 2 სპეციალისტი, რომელთაგან ერთი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის მომზადებას, ხოლო მეორე იმუშავებს რეციკლირების საკითხებზე. ვინაიდან, მათთვის ხელშეკრულების გაფორმება სცილდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, მერი ითხოვს მერიაში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამონაკლისის დაშვებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 1 მძღოლის, 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 3 კონსულტანტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 მერის მდივნის - ერთი წლის ვადით, ასევე საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე - კოორდინატორის, კოორდინატორის ასისტენტის, ტექნიკური მენეჯერის, PR მენეჯერის, საფინანსო მენეჯერის, ოფისის მენეჯერის (ხელშეკრულების გაგრძელების, პროექტის მოქმედების დარჩენილი ვადით) და 2 სპეციალისტის საგრანტო პროექტის დარჩენილი ვადით - 9 თვით მიღების, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის და 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის – ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარის მ/შემსრულებელი — გიორგი დოლიძე

937

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ, 2021 წლის 30 ივლისის სხდომაზე განიხილა საკითხი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 49.49210293 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.